171
1974

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა
# კრებული

## 5

# СБОРНИК
## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ
### МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

მაისი

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

თბილისი 1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 20 თებერვლის ბრძანება № 126

### ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათით დასტურდება, რომ ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განათლების განყოფილების გამგემ ამხ. რ. ჯინჭარაძემ:

ა) გააძლიეროს კონტროლი და ხელმძღვანელობა სკოლა-ინტერნატის დირექციისა და პედაგოგიური კოლექტივისადმი; მათი საქმიანობა წარმართოს სკოლა-ინტერნატის წინაშე მდგომი ამოცანების განსახორციელებლად;

ბ) ამ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებზე დააწესოს კონტროლი, ჩააბას ისინი დახელოვნების კურსების მუშაობაში და, თუ ამის შემდეგაც ვერ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას, დააყენოს საკითხი, სათანადო წესის დაცვით, მათი სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ;

გ) არ დაუშვას ზოგადი საშუალო განათლების მქონე პირების მასწავლებლებად დანიშვნის არც ერთი შემთხვევა;

დ) საჭირო ღონისძიება გაატაროს მასწ. ა. ვასილევასათვის უკანონოდ ჩამორთმეული საათების დასაბრუნებლად.

2. სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ამხ. ვ. ყურშუბაძემ:

ა) გააძლიეროს დახმარება და კონტროლი მასწავლებლების მუშაობაზე; სისტემატურად და საფუძვლიანად შეამოწმოს ცალკეული მასწავლებელთა გაკვეთილების ხარისხი, გულდასმით გააანალიზოს მოსმენილი გაკვეთილები და ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს მასწავლებლებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებაში;

ბ) მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებზე დააწესოს კონტროლი, სისტემატურად აღმოუჩინოს მათ დახმარება და მიაღწიოს იმას, რომ თითოეული მათგანი გულდასმით ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის;

გ) მიიღოს ზომები კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სახელოსნოების თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით, ხელსაწყო-იარაღებით, სწავლების ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სასწავლო მოწყობილობებით უზრუნველსაყოფად, რათა ყოველი გაკვეთილი ტარდებოდეს პროგრამით გათვალისწინებული ცდების, ლაბორატორიული სამუშაოებისა და თვალსაჩინოების გამოყენებით;

დ) კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მთელი სისტემა წარმართოს მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებისა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით აღზრდის, მათი ნიჭისა და უნარის შემდგომი განვითარების გზით;

ე) გადაჭრით გააუმჯობესოს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისა და სანიტარულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ხარისხი, ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების დახმარებით რეგულარულად ჩაატაროს მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმება;

ვ) გულდასმით გაეცნოს სადირექტივო ორგანოების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს და დასახოს ღონისძიებანი მათ განსახორციელებლად;

ზ) აღნიშნული ბრძანება განიხილოს სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

3. სკოლა-ინტერნატის მასწავლებლები:

ა) გულდასმით ემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, გამუდმებით სრულყონ სწავლების ხერხები და მეთოდები, ორიგინალურად დაუკავშირონ ახალი მასალა უკვე შესწავლილს და მიაღწიონ ყველა მოსწავლის მიერ საპროგრამო მასალის შეგნებულად და სრულად ათვისებას;

ბ) გაკვეთილების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, სისტემატურად გამოიყენონ სწავლების ახალი ხერხები და მეთოდები, თვალსაჩინოება, სასკოლო ექსპერიმენტი და სწავლების ტექნიკური საშუალებანი;

გ) ფართოდ ჩააბან აღსაზრდელები კლასგარეშე მუშაობაში, დავალების მიცემისას გაითვალისწინონ მათი უნარი, მიდრეკილებანი და განვითარების დონე.

4. სკოლა-ინტერნატის აღმზრდელებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ არასასწავლო დროის სწორად ორგანიზებისა და გამოყენების საქმეს, ამასთან, სააღმზრდელო ჯგუფებში გააძლიერონ მუშაობა აღსაზრდელთა კომუნისტური მსოფლმხედველობით შეიარაღების, იდეური წრთობის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებისა და თვითშემოქმედების განვითარებისათვის;

ბ) საგნის მასწავლებლებთან ერთად რადიკალური ზომები მიიღონ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთა დასახმარებლად, ჩაატარონ დამატებითი მეცადინეობები, კონსულტაციები. ამასთან ერთად, გადაჭრით აღკვეთონ აღსაზრდელთა ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმის მავნე გამოვლინებანი;

გ) აქტიურად ჩააბან აღსაზრდელები საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ჩაუნერგონ მისდამი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა, ხელი შეუწყონ აღსაზრდელებში სახელმწიფო ქონების გაფრთხილებისა და მოვლა-პატრონობის ჩვევების გამომუშავებას.

5. საგნის სუსტად სწავლებისა და მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონისათვის დაწყებითი კლასის მასწავლებელს ფ. მექვაბიშვილს გამოეცხადოს საყვედური.

6. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ნ. ყურშუბაძეს და ნ. წულუკიძეს, გერმანული ენის მასწავლებელს რ. სორდიას, მათემატიკის მასწავლებლებს ნ. გოგიჩაიშვილსა და ნ. ჟორდანიას მიეთითოთ.

7. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისა, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისა და შრომის კანონის უხეში დარღვევისათვის სკოლა-ინტერნატის დირექტორს ვ. ყურშუბაძეს გამოეცხადოს საყვედური.

8. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. თ. ნიკოლაიშვილმა) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 10 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

## მოხსენებითი ბარათი

### ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ე ბ

1973 წლის 19—21 ნოემბრამდე ბრიგადამ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორის ო. ვახტანგაძის (ხელმძღვანელი), მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისისა და ბათუმის ფილიალების მუშაკების: ს. ჯინჯიხაძის, დ. ასათიანის, გ. მირცხულავას, ნ. ბასილაძის, ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგის ი. მიქელაშვილისა და სასკოლო ინსპექტორის ა. რომანაძის შემადგენლობით, შეისწავლა ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. შემოწმებას არ ესწრებოდა სკოლა-ინტერნატის დირექტორი ვ. ყურშუბაძე (იმყოფებოდა კურსებზე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში) და დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში ა. ჯიჯავაძე (ავადმყოფობის გამო). სკოლა-ინტერნატი ძირითადად დაკომპლექტებულია სათანადო სტაჟისა და ცენზის მქონე სპეციალისტებით და სპეციალობის მიხედვით კარგადაა შერჩეული: დირექტორი ვ. ყურშაბაძე—მათემატიკოსი, დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ა. ჯიჯავაძე—ლიტერატორი, ხოლო უფროსი აღმზრდელი ნ. ორაგველიძე—ბუნებისმეტყველია.

სისტემატურად ტარდება ღონისძიებანი სასწავლო და საძინებელ კორპუსებში ნორმალური პირობების შესაქმნელად, სათანადო ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პირად ჰიგიენას, დამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა ჩაცმულობა, ყველას აქვს პირადი ჰი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიენის საგნები და გამომუშავებული აქვს მათი მოხმარების ჩვევები/ სკოლა-ინტერნატის დირექციის მიერ სათანადო ზომებია მიღებული ნორმებით გათვალისწინებული კვების პროდუქტებით მომარაგების, აღსაზრდელთა კვების რაციონის მრავალფეროვნებისა და ნოყიერი კერძების მოსამზადებლად. აღმზრდელთა უმრავლესობა თავის მუშაობაში ითვალისწინებს აღსაზრდელთა ინდივიდუალურ თავისებურებებს. დღის რეჟიმის შედგენისას ძირითადად დაცულია დადგენილი ნორმები. ცალკე აქვთ შედგენილი კვირა და უქმე დღეების რეჟიმი. მასში გათვალისწინებულია მოძრავი და სპორტული თამაშები, ექსკურსიების მოწყობა ბუნებაში, ტელევადაცემების ნახვა და სხვ.

მაგრამ, შემოწმების შედეგად, სკოლა-ინტერნატის დირექციისა და პედკოლექტივის მუშაობაში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები: მასწავლებლები სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ვერ აღვივებენ მოსწავლეებში სწავლისადმი მკვიდრ ინტერესს, ვერ წვდებიან თითოეული გაკვეთილის სტრუქტურულ თავისებურებებს; სწავლების პროცესში ვერ ითვალისწინებენ აღსაზრდელთა ინდივიდუალურ შესაძლებლობას, იშვიათად იყენებენ თვალსაჩინოებას, სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, ლიბერალურად აფასებენ მოსწავლეთა ცოდნას. ინტერნატის მასწავლებელთა კოლექტივში არ იგრძნობა მასწავლებლის პროფესიისადმი მკვიდრი სიყვარული და საგნით გატაცება. მასწავლებლები სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის სუსტად ფლობენ საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს დაწყებითი კლასების მასწავლებლები ფ. მექვაბიშვილი და თ. მარგალიტაძე. ფ. მექვაბიშვილმა სწორად ვერ აუხსნა მოსწავლეებს სახელისა და ზმნის შეთანხმება რიცხვში. მან ვერ შენიშნა მოსწავლეების მიერ წინადადებებში — „კამეჩებმა ტვირთი ვერ ზიდა“, „ირმები მარდად გადახტა“ დაშვებული შეცდომები, რადგან თვითონ სუსტად ერკვევა გრამატიკის საკითხებში და მეტყველების დროსაც უშვებს შეცდომებს. მანვე სრულყოფილად ვერ ჩაატარა საკლასო წერა თემაზე: „დეფორმირებული ტექსტის აღდგენა-დაწერა“. მოსწავლეებმა, მასწავლებლის დახმარებით, ლოგიკურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი წინადადებები სწორად გადააადგილეს, მაგრამ ვერ მოახერხეს მათი სტილისტურად გამართვა. მასწ. თ. მარგალიტაძე II კლასში, სუფთა წერის გაკვეთილებზე, იფარგლება მხოლოდ მექანიკური

სავარჯიშოების მიწოდებით და ვერ ახერხებს ღრმა შინაარსის მქონე აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო ტექსტის შერჩევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V კლასის მოსწავლეებს (მასწ. ნ. ყურშუბაძე) არ შესწევთ დამოუკიდებლად მსჯელობისა და წერის უნარი. დასახელებულ კლასში მასწავლებელმა ნაჩქარევად ახსნა გაკვეთილი—ი. ჭავჭავაძის ლექსი „ჩემო კარგო ქვეყანავ“. მოსწავლეები მხოლოდ გამომეტყველებით კითხვაში ავარჯიშა და არაფერი უთქვამს ლექსის შინაარსსა და მის იდეურ მხარეზე, საშინაო დავალების გამოკითხვას კი 25 წუთი მოანდომა. იგი ლიბერალურად აფასებს მოსწავლეთა წერით ნამუშევრებს: VI კლასში ჩატარებულ საკონტროლო წერაში 35 ნაშრომიდან 28 დადებითი ნიშნით შეფასდა, მაშინ როცა დადებით შეფასებას მხოლოდ 12 იმსახურებდა. ასევე ლიბერალურად აფასებს მოსწავლეთა ცოდნას ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. წულუკიძე, მან წერით ნამუშევარში 37 მოსწავლიდან 3 მოსწავლის ნამუშევარი შეაფასა „4“-ზე, 24-ს დაუწერა „3“. ხოლო 7-ს—„2“. სინამდვილეში კი 37 მოსწავლიდან 34 იმსახურებდა არადამაკმაყოფილებელ ნიშანს.

ვერ ფლობს რუსულ ენას მასწ. გ. მექვაბიშვილი. მას არ შესწევს უნარი III კლასის მოსწავლეებს გაუსწოროს მეტყველების დროს დაშვებული შეცდომები, იგი თვითონ უშვებს შეცდომებს. მოსწავლეები არასწორად წარმოთქვამენ უმახვილო ხმოვნებს, რბილსა და მაგარს, ყრუ და მჟღერ თანხმოვნებს, მასწავლებელთა დაუხმარებლად ვერ ახერხებენ საკუთარი საკლასო ოთახის აღწერას. მასწავლებელი საჭირო დროს არ უთმობს წერას, რის გამოც ძალზე დაბალია წერითი მეტყველების კულტურა, დაბალია მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა უფროს კლასებშიც. მაგალითად, VIII კლასში ჩატარებულ წერაში (მასწ. მ. ნევზოროვა) 18 მოსწავლიდან ნიშანი „4“ მხოლოდ ერთმა მიიღო, „3“—ოვამ, ხოლო დანარჩენმა არადამაკმაყოფილებელი შეფასება დაიმსახურა.

მასწავლებელი ვ. დილოვეროვა სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილისათვის, საჭირო დროს არ უთმობს ტექსტების კითხვაზე ვარჯიშს, ახალი მასალის გადაცემას 7—10 წუთში ამთავრებს. მან IV კლასში ახალი მასალა—„Письмо из колхоза“ 10 წუთში ახსნა. დასახელებულ კლასში მოსწავლეები დაუფლებულნი არ არიან კითხვის ტექნიკას. მასწ. ლ. ვასილევამ V კლასში მშრალად ახსნა ახალი მასალა—„Девочка с персиками“. იგი დიდ დროს უთმობს ძველი მასალის გამოკითხვას.

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადების დონე გერმანულ ენაში (მასწავლებლები რ. სიორდია და ა. ჯ[illegible]). მოსწავლეებს არ აქვთ გამომუშავებული კითხვისა და ზეპირმეტყველების ცოდნა-ჩვევები. მათ უმრავლესობას არ შეუძლია ნაცნობ თემაზე შედგენილი მარტივი წინადადებების აგება. VII კლასის მოსწავლეების დიდი ნაწილი ვერ ახერხებს Prasent-ში მოცემული წინადადებების გადაყვანას Perfekt-ში; დასახელებულ თემაზე ჩატარებულ წერაში 35 მოსწავლიდან 11-მა არადამაკმ. შეფასება მიიღო. საერთოდ, ღარიბია მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას მათემატიკის სწავლება. მოსწავლეებში ჯერ კიდევ გამომუშავებული არ არის დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები. საჭირო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა ლოგიკური აზროვნების განვითარებას. X კლასის მოსწავლეები (მასწ. ნ. გოგიჩაიშვილი) დაუფლებული არ არიან გამოსახულებათა გამარტივებას, იგივურ გარდაქმნებს. სუსტად იციან ერთი და იმავე არგუმენტის ტრიგონომეტრიულ ფუნქციებს შორის ალგებრული თანაფარდობანი, არგუმენტების ჯამისა და სხვაობის ტრიგონომეტრიული ფუნქციები და სხვ. აღნიშნულ საკითხებზე ჩატარებულ წერით სამუშაოში 25 მოსწავლიდან 13-მა არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო. მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე გამომჟღავნდა აგრეთვე IV კლასში (მასწ. ნ. ჟორდანია). ამ კლასში ჩატარებული წერითი შემოწმებისას მოსწავლეთა 20%-მა არადამაკმ. შეფასება მიიღო. აღსაზრდელების დიდი ნაწილი სუსტად ერკვევა გამოსახულების ამონახსნის პოვნაში, ამოცანის პირობაში. მონაცემ სიდიდეებს შორის დამოკიდებულების საპოვნელად ვერ იყენებენ ფორმულას $S=VT$. გეომეტრიაში მეთოდურად დამუშავებული მასალა მისცა VII კლასს მასწ. ნ. გოგიჩაიშვილმა. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული მასალით—„ფართობის გაზომვის ცნება“. გაკვეთილის გადაცემა 7 წუთში დაამთავრა. მას შესაძლებლობა ჰქონდა, კლასში პრობლემის სახით დაესვა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გაეზომათ ფართობი, როცა ნაკვეთი მრუდწირული კონტურითაა შემოსაზღვრული. შემდეგ, ბუნებრივი მაგალითების მომარჯვებითა და კოდოსკოპის გამოყენებით, ახალ მასალას მისაწვდომს გახდიდა მოსწავლეთათვის.

ზოგჯერ სათანადოდ არ ემზადებიან საკონტროლო წერებისათვის და წერით სამუშაოს მოსწავლეები არ ასრულებენ და-



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკიდებლად. V კლასში (მასწ. ნ. გოგიჩაიშვილი) ადგილი ჰქონდა მათემატიკაში საკონტროლო წერის მოუმზადებლად ჩატარებას. წერით სამუშაოებში ხშირად გვხვდება ურთიერთისაგან გადაწერის ფაქტები. ჯერ კიდევ არაა დანერგილი პრაქტიკაში მცირე დროიანი საკონტროლო წერითი სამუშაოების ჩატარება.

ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის გამოყოფილი ფართობი არარაციონალურად არის გამოყენებული, საპრეპარატოს ფართობის შემცირების ხარჯზე ცალკე ოთახია გამოყოფილი ტელევადაცემათათვის. სივიწროვის გამო ხელსაწყო-იარაღები ერთმანეთზე აწყვია. კაბინეტში არსებული დემონსტრაციებისათვის საჭირო მოწყობილობა სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს პროგრამულ მოთხოვნებს; მცირე რაოდენობით აქვთ მოწყობილობანი ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოსათვის. თითქმის არა აქვთ სამუშაო ინსტრუმენტები, ნაბეჭდი დამხმარე საშუალებანი, დიაპოზიტივები და დიაფილმები. იმის გამო, რომ კაბინეტ-ლაბორატორია არ თბება, მისი გამოყენება ზამთრობით შეუძლებელია.

დამაკმაყოფილებლად გადასცა ახალი მასალა ფიზიკაში დამწყებმა მასწავლებელმა ნ. ყურშუბაძემ მან VII კლასის მოსწავლეებს გააცნო ორთქლადქცევის მოვლენა, მოახდინა დასახელებული მოვლენის ცდით დემონსტრირება. ორთქლადქცევის კუთრი სითბოს ცხრილის გასაცნობად გამოიყენა ოპტიკური დაფა და ამოცანების ამოხსნით გააცნობიერა იგი, მოსწავლეები გაარკვია დასახელებული მოვლენის ფიზიკურ არსში. მაგრამ, ამავე მასწავლებელმა ხარვეზებით ჩაატარა ფიზიკის გაკვეთილი X კლასში. თემის—„ჰერცის ვიბრატორი, ჰერცის ცდები“, „ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების სიჩქარე“—არ ჩაუტარებია საჭირო დემონსტრაციები. ასევე, პოპოვის მიერ რადიოს გამოგონების ახსნისას, სახელმძღვანელოში მოცემული ფაქტობრივი მასალის მოკლე შინაარსის თხრობით დაკმაყოფილდა. VIII კლასის მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცის კინემატიკის ძირითადი საკითხები, ვერ ერკვევა მოძრაობის სახეებში, ფიზიკურ სიდიდეთა საზომ ერთეულებში, ამოცანის პირობის შესაბამისად ვერ ახდენს მოცემული და საძიებელი სიდიდეების მოკლე ჩანაწერს.

ქიმიაში, IX და X კლასებში, მეთოდურად გამართული გაკვეთილები გადასცა მასწავლებელმა შ. ვაშაკიძემ. მან, ექსპერიმენტის მოხერხებული გამოყენებით, მოსწავლეთათვის გასაგები ენით ახსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამიაკის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები“ და „ბენზოლის პრობლემები“. იგი ესაუბრა მოსწავლეებს ამიაკისა და ბენზოლის ჰომოლოგების თვისებებსა და გამოყენებაზე. ორგანულად დაუკავშირა ახალი მასალა შესწავლილ საკითხებს, ლოგიკურ მთლიანობაში განიხილა ისინი. ამიაკის თვისებების გაცნობისას ყურადღება გაამახვილა ჟანგვა-აღდგენით პროცესებზე და მიზეზ-შედეგობრივ კავშირში გააანალიზა ამიაკის წვა; ხაზი გაუსვა კატალიზის ბუნებას და მეცნიერული სიღრმით გააშუქა იგი პლატინის, რკინისა და ქრომის ჟანგეულების მაგალითზე.

როგორც ირკვევა, ყველა გაკვეთილის ჩატარებას ერთნაირი პასუხისმგებლობით არ ეკიდება მასწ. შ. ვაშაყმაძე, რის გამოც გავლილი მასალის სუსტ ცოდნას ამჟღავნებენ ქიმიაში IX კლასის მოსწავლეები. მათ არ იციან ვალენტოვნება, ვერ ახერხებენ ქიმიური ტოლობების შესადგენად კოეფიციენტების შერჩევას. მიღებულ ტოლობებში არ უჩვენებენ გაზსა და ნალექს, არასწორად გამოსახავენ იონებს.

ბიოლოგიის თეორიული კურსის სწავლებას მასწავლებელი ნ. ორაგველიძე მჭიდროდ უკავშირებს პრაქტიკას. საგნის სწავლებისათვის კარგად იყენებს სასწავლო-მატერიალურ ბაზას, სასწავლო კაბინეტს, სასწავლო-საცდელ ნაკვეთს. მოსწავლეებს გამოყავთ სხვადასხვა კულტურული მცენარეების ნერგები. V და VI კლასების მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ერკვევიან ფესვის აგებულებასა და დანიშნულებაში.

ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებაზე სკოლა-ინტერნატში უარყოფით გავლენას ახდენს ის გარემოება, რომ ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტებში არ აქვთ წყალგაყვანილობა, აკლიათ თვალსაჩინოებანი ზოგად ბიოლოგიაში, დანესტიანებულია რეაქტივების ნაწილი. სკოლა-ინტერნატში მოუწესრიგებელია გეოგრაფიის მოედანი, იგი არ არის გამოყენებული საგნის სწავლებისას. კეთილმოწყობას საჭიროებს სპორტმოედნები. იარაღის ნაკლოვანებას განიცდის სპორტდარბაზი, შეკეთებას საჭიროებს იატაკი, ჭერიდან ჩამოდის წყალი, არ აქვთ გასახდელი და შხაპის მისაღები ოთახი. მეთოდურ დახმარებას საჭიროებს გეოგრაფიის დამწყები მასწავლებელი ო. გოგიტიძე, გამოუცდელობის გამო მან ვერ შეძლო VI კლასში მოსწავლეთა მთელი კოლექტივის ჩაბმა გაკვეთილის მსვლელობაში. ორგანულად ვერ დაუკავშირა ახალ მასალას გავლილი,

რის გამო გაკვეთილი საკმაოდ უფერულად ჩაატარა. დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ IX კლასის მოსწავლეები (მასწ. გ. ჯ[illegible]-ში). ისინი კარგად ერკვევიან, თუ რაზეა დაფუძნებული სახ[illegible] რესპუბლიკის მეურნეობის მთავარი დარგები, მოსახლეობა, მათი საქმიანობა და სხვა პროგრამული საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატში პირველი მეოთხედისათვის 346 აღსაზრდელიდან ყველა საგანში ასწრებდა—304, ხუთოსანი იყო—8, ოთხოსანი—37, ვერ ასწრებდა 42 მოსწავლე, აქედან მეორეწლიანი—1. ეს მონაცემები, როგორც ჩატარებული შემოწმების საფუძვლიანმა ანალიზმა ნათელყო, სწორად ვერ ასახავს მდგომარეობას. ფაქტიურად სკოლის მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ ასწრებს ამა თუ იმ საგანში.

გაუმჯობესებას საჭიროებს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. ფიზიკაში ფაკულტატიური მეცადინეობისათვის IX კლასში ცხრილში შეტანილი აქვთ სამი საათი კვირაში, მაშინ როდესაც ფაკულტატიურ სწავლებაზე პროგრამით ამ საგანში 2 საათიანი დატვირთვა ფორმალურადაა შექმნილი მასწავლებლის განაკვეთის შესავსებად. სინამდვილეში სკოლა-ინტერნატს ამ სახის მუშაობის ჩატარების შესაძლებლობა არ აქვს. სათანადოდ მას არც კადრი ჰყავს და არც მატერიალური ბაზა გააჩნია.

ნაკლებად ხდება თვითნაკეთი ხელსაწყო-იარაღებით, ჰერბარიუმით და ტაბულებით სასწავლო კაბინეტის შევსება, პედაგოგები წინასწარ არ ახდენენ საექსკურსიო ობიექტების შესწავლას და სხვ.

უვარგისი შენობაა გამოყოფილი სამეურნეო დანიშნულებისათვის. მის ყველა კედელს მიღებული აქვს ბზარები და სიძველისაგან იშლება. ამ შენობაში მოთავსებული აბანო და სამრეცხაო ჰიგიენური მოთხოვნილების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. კეთილმოწყობას საჭიროებს ჰიგიენის ოთახი. აღნიშნულ შენობაშია მოთავსებული სასწავლო სახელოსნოებიც. სახელოსნოებში არსებული ხელსაწყო-იარაღები გამოყენებულია საგნის სწავლებაში. აქვთ დასამზადებელი დეტალების ნიმუშებიც, მაგრამ იგი შევსებას საჭიროებს ხელსაწყო-იარაღებით, სამუშაო მასალებით და სხვადასხვა სახის დიდაქტიკური საშუალებებით.

სკოლა-ინტერნატში ფიზიკაში, ქიმიაში, მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში, სპორტში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სასწავლო დისციპლინებში შექმნილია საგნობრივი წრეები/ წრის წევრები უშვებენ კედლის გაზეთებს, გამოდიან მოხსენებებით, მოწყობილი აქვთ ფოტოსტენდი, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა ექსპერიმენტული სამუშაოების შესრულებას და პრაქტიკული ხასიათის მოხსენებების მომზადებას, ტექნიკურ წრეებში მოსწავლეთა ჩაბმას, ფიზკულტურულ წრეებში კი უფრო მეტად სპორტულ თამაშობებშია ჩაბმული მოსწავლეები და ნაკლები ყურადღება ექცევა ტანვარჯიშსა და მძლეოსნობას.

სასწავლო-აღმზრდელობით გეგმებში ძირითადად რეჟიმული მომენტებია გათვალისწინებული. კლასის ხელმძღვანელთა და აღმზრდელთა ერთი ნაწილი იშვიათად ატარებს მოსწავლეებთან საუბრებს იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცნენ საზოგადოებრივ ადგილებში, სტუმრად ყოფნის დროს, ქუჩაში, სუფრასთან, როგორ გაანაწილონ დროის ბიუჯეტი, მოსწავლეებს არ ასწავლიან წიგნზე მუშაობას და სხვ.

საკმაო ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას, ძირითადად გეგმავენ და ატარებენ უქმე დღეებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, ნაკლებად ტარდება ისეთი სახის სამუშაოები, რომელიც ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებას, აქტივობასა და დამოუკიდებლობის ჩვევების აღზრდას.

სკოლა-ინტერნატს ემსახურება 35 აღმზრდელი და მასწავლებელი. აქედან უმაღლესდამთავრებულია 10, მათ შორის ერთი არის ზოგადი საშუალო განათლებით. ინტერნატი ძირითადად დაკომპლექტებულია ახალგაზრდა პედაგოგიური კადრებით, მათ შორის 11-ს 1—2 წლის მუშაობის გამოცდილება აქვს, ხოლო 2-ს—5 წელზე მეტი. ადგილი აქვს საათების დაქუცმაცებას. 35 აღმზრდელ-მასწავლებლიდან 1—1,5 განაკვეთამდე გაკვეთილებით დატვირთულია მხოლოდ 7 მასწავლებელი. 18 აღმზრდელიდან 9-ს აქვს გაკვეთილები შეთავსებული 6 საათამდე. არის შემთხვევა, როცა მასწავლებლის დატვირთვა 2 კვირეულ საათს არ აღემატება. უხეშად ირღვევა შრომის კანონი, მასწ. ა. ვასილევა საავადმყოფო ფურცელზე იმყოფებოდა, ავად გახდომამდე მას ჰქონდა 28 საათი კვირეული დატვირთვა. მხოლოდ 7 დღის შემდეგ, როცა სამსახურში დაბრუნდა, დირექტორმა მხოლოდ 18 საათი დაუტოვა და 10 საათი გადასცა შემცვლელ მასწ ვ. დოლავროვას, რომელიც ქობულეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ბრძანე-

ბით ა. ვასილევას ადგილზე დროებით იყო დანიშნული მასწავლებლად.

შემოწმებულ სკოლა-ინტერნატის მუშაობაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები, პირველყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ დირექტორი და მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში საფუძვლიანად არ ეცნობიან სასწავლო პროგრამებსა და გეგმას, განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტებს. ქმედით დახმარებას და კონტროლს არ უწევენ მასწავლებლებს მუშაობაში. სუსტად მუშაობენ ახალგაზრდა დამწყებ მასწავლებლებთან და აღმზრდელებთან, ნაკლებად ზრუნავენ მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ მასწავლებლები ნაკლებად ზრუნავენ პროფესიული ცოდნის დონის ამაღლებისა და პედაგოგიური დაოსტატებისათვის. ნაკლებად ახდენენ ურთიერთგამოცდილების გაზიარებას.

როგორც საბუნებისმეტყველო ციკლის საგნის მასწავლებლებთან საუბრებმა გვიჩვენა, მათი განათლების ჰორიზონტი ძირითადად სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ქართულ პედაგოგიურ ლიტერატურაში გამოქვეყნებული სტატიებით განისაზღვრება; არ იცნობიან ახალი კონსტრუქციის ხელსაწყო-იარაღებს, დაუფლებული არ არიან ზოგიერთი სახის კინოსაპროექციო დანადგარის ხმარების ტექნიკას. ჰუმანიტარული დისციპლინის მასწავლებელთა დიდ ნაწილს სკოლა-ინტერნატში არსებული სწავლების ტექნიკური საშუალებების გამოყენების შესახებ ზოგადი წარმოდგენაც კი არა აქვს.

თ. ვახტანგაძე
დ. ახათიანი
ნ. ბასილაძე
გ. მირცხულავა
ი. მიქელაშვილი
ა. რომანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 22 თებერვლის ბრძანება № 132

### „შრომითი დიდების" ორდენისა და „შრომის ვეტერანის" მედლის დაარსებასთან დაკავშირებით სახალხო განათლების ორგანოების ამოცანების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებანი „შრომითი დიდების" ორდენისა და მედლის „შრომის ვეტერანის" დაარსების შესახებ დიდი პოლიტიკური მოვლენაა და მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციისადმი, რომელთა დაუღალავი შრომის შედეგად ხორციელდება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ლენინური გეგმა, მრავლდება საბჭოთა ქვეყნის მატერიალური დოვლათი.

რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემის მუშაკები, რომელთა შემოქმედებითი საქმიანობა მიმართულია კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდისა და სწავლის კეთილშობილური მიზნების განხორციელებისაკენ, სახალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის სხვა დარგის მუშაკებთან ერთად მხურვალედ იწონებენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ამ ახალ გამოვლინებას.

ახალგაზრდობის მომზადება ცხოვრებისათვის, შრომითი საქმიანობისათვის, პროფესიის შეგნებული არჩევისათვის, არის ერთ-ერთი იმ მთავარი ამოცანათაგანი, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წინაშე დააყენა სკკპ XXIV ყრილობამ. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ბევრი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა წარმატებით წყვეტს პარტიისა და მთავრობის მიერ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს და მოსწავლეებს აძლევს მტკიცე და შეგნებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნას. ახალი, 1973—1974 სასწავლო წლის ორგანიზებულად შესახვედრად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება გახდა სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მატერიალური ბაზის განმტკიცების, სწავლების პროცესის სრულყოფისა და მოსწავლეთა შრომითი საქმიანობისათვის მომზადების გზების ძიების მნიშვნელოვანი ღონისძიება. ქ. ქუთაისმა, ზუგდიდის, მახარაძის, ცხაკაიას და ლაგოდეხის რაიონებმა მოიპოვეს გარდამავალი წითელი დროშები, სახალხო განათლების 4.400 მოწინავე მუშაკი დაჯილდოვდა „1973 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის“ სამკერდე ნიშნით, მრავალმა მასწავლებელმა მიიღო „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი, საპატიო სიგელი.

საბჭოთა მთავრობის მიერ დაწესებული ახალი ჯილდოები ახალ ელფერს მისცემს 1974—1975 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას, დარაზმავს ჩვენი პედაგოგიური კოლექტივების თითოეულ წევრს მაღალი შრომითი მაჩვენებლების მიღწევისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 28 იანვრის № 101 დადგენილების „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ამოცანები „შრომითი დიდების“ ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაარსებასთან დაკავშირებით“ შესასრულებლად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სახალხო განათლების ყველა მუშაკს განემარტოს, რომ „შრომის ვეტერანის“ მედალი დაწესებულია მშრომელთა დასაჯილდოებლად სახალხო განათლების დარგში მრავალი წლის კეთილსინდისიერი შრომისათვის საპენსიო ასაკის მიღწევისას და დამსახურებულ დასვენებაზე გადასვლისას მათი შრომითი ღვაწლის აღიარების ნიშნად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ფართოდ განუმარტონ სახალხო განათლების დარგის ყველა მუშაკს და მასწავლებელს შრომითი დიდების ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაწესების არსი და პოლიტიკური მნიშვნელობა,

2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებითაც ჯილდოვდებიან მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა დარგების მუშაკები მაღალნაყოფიერი, ხანგრძლივი, უმწიკვლო შრომისათვის. საამისოდ ფართოდ გამოიყენონ თათბირები, საერთო კრებები, პედაგოგიური საბჭოების სხდომები და სხვ;

ბ) მთავრობის მიერ ახალი წამახალისებელი ჯილდოების დაწესება გამოიყენონ ახალი, 1974—1975 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბჭოთა დაწესებულებების სანიმუშოდ მომზადებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზებულად ჩატარების მასტიმულირებელ საშუალებად, რესპუბლიკის სახალხო განათლების დარგის წინაშე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს მდგომი ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად;

გ) აამაღლონ პედაგოგიური კოლექტივების, თითოეული პედაგოგის პასუხისმგებლობა მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, მიაღწიონ იმას, რომ სასკოლო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის მთელი კომპლექსი წარმართონ მოსწავლეების მყარი ცოდნით შეიარაღების, მათი აზროვნებისა და უნარის გაღვივების, მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ჩვევების განვითარებისათვის;

დ) განახორციელონ მოზარდი თაობის პროფესიული ორიენტაციის გაუმჯობესების, შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით მათი აღზრდის ღონისძიებანი. სისტემატურად მოაწყონ სოციალისტური შრომის გმირებთან, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ვეტერანებთან და ნოვატორებთან ახალგაზრდობის შეხვედრები, მუშად კურთხევის დღესასწაულები; იმ ახალგაზრდა მუშებთან, კოლმეურნეებთან, მშენებლებთან შეხვედრები, რომლებმაც დაამთავრეს მოცემული სკოლა და თავისი მუყაითი შრომით სახელი გაითქვეს კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, მრეწველობის სხვადასხვა დარგში. ჩაატარონ მოხსენებები და დილა-საღამოები პროფორიენტაციის თემებზე, ფართოდ გამოიყენონ რაიონის (ქალაქის) მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების, წარმოების ნოვატორების შრომითი წარმატებების მაგალითები სკოლებში პროფორიენტაციის კაბინეტებისა და კუთხეების მოსაწყობად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მოსწავლეთა სწორი პროფესიული ორიენტაციის, პრაქტიკული საქმიანობისათვის მათი მომზადების, შრომისადმი სიყვარულის გაღვივების მიზნით, გადაჭრელი ზომები მიიღონ სკოლების სასწავლო სახელოსნოების, სასწავლო საცდელი ნაკვეთის კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობისა და მაქსიმალურად აღჭურვისათვის, ორგანიზებულად ჩაატარონ მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკა, მეხუთედ—მეოთხედი, მიაღწიონ იმას, რომ სასწავლო სახელოსნოში, საცდელ ნაკვეთზე, სამეურნეო მინდვრებში, საწარმოსა და მშენებლობაზე მოსწავლეთა შრომა გახდეს მათი აუცილებელი მოთხოვნილება, რისთვისაც გამოიყენონ ბავშვებთან მუშაობის მრავალფეროვანი მეთოდები;

ვ) ყოველმხრივ წაახალისონ მოწინავე მასწავლებელთა ინიციატივა, მოაწყონ მათი გამოცდილების განზოგადება და საჯაროობა, გახადონ იგი ყველა მასწავლებლის კუთვნილებად;

ზ) ახალი, 1974—1975 სასწავლო წლისათვის, სასწავლო დაწესებულებების მომზადების შედეგების შეჯამებისას, სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებები აუცილებელ კრიტერიუმად წაუყენონ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩაბმას, გაკვეთილების მაღალ მეთოდურ, პედაგოგიურ და მეცნიერულ დონეზე ჩატარების, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის უნარის განვითარების, საშუალო სკოლადამთავრებულთა შრომითი მოწყობის, მასწავლებელთა პედაგოგიური და მეთოდური დახელოვნების აუცილებელი შესრულება;

თ) აღნიშნული ბრძანება დაიყვანონ რესპუბლიკის ყველა დაწყებითი, რვაწლიან, საშუალო სკოლამდე, განათლების სისტემის ყველა დაწესებულებამდე.

3. ამ ბრძანების მოკლე შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლების“ უახლოეს ნომერში.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 21 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 19 მარტის ბრძანება № 238

## მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ

შემოწმებით გამოვლინდა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ტერიტორია, მიუხედავად იმისა, რომ შემოღობილია და დაწესებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დაცვა, როგორც სატვირთო, ისე მსუბუქი ავტომანქანები თავისუფლად მოძრაობენ ბაზის ტერიტორიაზე საშვის გარეშე.

ბაზის ტერიტორიაზე, შესასვლელთან, მოწყობილია საკონტროლო ჯიხური, მაგრამ ჭიშკარი მუდამ ღიად არის დატოვებული და არ არის ლაწესებული კონტროლი საქონლის გაზიდვაზე.

დაწყვეტილია ეზოს ელექტროგანათების გაყვანილობა, დაუმთავრებელია სიგნალიზაციისა და ხანძარსაწინაალმდეგო ავტომატიზებული გაყვანილობის სამუშაოები.

შენობის სახურავიდან რამდენიმე ადგილას ჩამოდის წვიმის წყალი, რის შედეგად დაზიანებულია შენობის კედლების შელესვა, ჩამონგრეულია აგურის კაპიტალური კედლები და მოშლილია ღია რამპის მოასფალტება.

ხე-ტყის მასალა არ არის დაწყობილი შტაბელში დადგენილი წესის მიხედვით.

ტერიტორია დანაგვიანებულია, უწესრიგოდ ყრია რკინის ჯართი და შენობებს ირგვლივ სარინელები ყველგან დაზიანებულია.

დაზიანებულია აგრეთვე ტერიტორიის შემოღობვა, ხოლო სიგნალიზაციის მილები ზოგ ადგილას ჩამოყრილია.

მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში არ არის გაფორმებული პასუხისმგებელი პირი, რომელსაც მოეთხოვებოდა როგორც საწყობებში, ისე ბაზის ტერიტორიაზე წესრიგის დამყარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით საწყობებში შექმნილია ისეთი პირობები, როდესაც მომხმარებელს შეუძლია შესვლა დაუკითხავად.

ბაზის მიერ მიღებული ელექტროქურები და ზოგი აგრეგატი ცის ქვეშ ყრია და ზიანდება;

იმის გამო, რომ დღემდე ბაზა არ არის უზრუნველყოფილი სასმელ-სამეურნეო წყლით და ც/გათბობით, რომელიც უნდა მომარაგებულიყო რაიონული საქვაბიდან, ყველა საწყობში დგას თვითნაკეთი ელექტროქურა და სხვა.

განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების ინსპექტორმა ამხ. ვ. ფინთურიამ, რომელსაც ევალებოდა ტექნიკური ზედამხედველობა ეწარმოებინა სადგურ ლილოს ტერიტორიაზე განლაგებულ ბაზის მდგომარეობასა და ელექტროსიგნალიზაციის გაყვანილობაზე, არ უზრუნველყო სათანადო კონტროლი, რის შედეგადაც შესრულებული სამუშაოები უწესივრო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ლილოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუშაობის გაუმჯობესებისა და საწყობების სათანადო დაცვის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაევალოს სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს უფროსს ამხ. ვ. კბილაშვილს:

ა) თანახმად ჩემი 1972 წლის 4 ოქტომბრის № 553 ბრძანებისა, შემოიღოს საშვების სისტემა და აკრძალოს ბაზის ტერიტორიაზე გარეშე პირთა შესვლა და მასალების გატანა ფაქტურის შემოწმებისა და საშვების გარეშე;

ბ) მოამზადოს საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია შენობანაგებობების სახურავის შეკეთებას; ჩამონაცვენი შელესვების აღდგენის, ღია რამპის გადახურვისა და ეზოს კეთილმოწყობის გათვალისწინებით;

გ) აკრძალოს საწყობებში გარეშე პირთა შესვლა, რისთვისაც მოაწყოს სათანადო გადაღობვა მოაჯირებით და ააკრას ყველა კარებზე ლითონის ფურცლები;

დ) აღადგინოს ეზოს დაზიანებული ელექტროგანათება და და დაამთავროს როგორც სიგნალიზაციის, ისე საწყობებში ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატური გაყვანილობა. ჩაიბაროს ეს სამუშაოები სათანადო გამოცდის შემდეგ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) მოეწყოს მთავარ შესასვლელთან საკონტროლო ჯიხური;

ვ) წესრიგში მოიყვანოს ეზოს ტერიტორია როგორც ხე-ტყის, ისე სხვა მასალების სათანადო განლაგებით, შეაკეთოს შემოღობვა, შენობების ირგვლივ დაზიანებული სარინელები და დააყენოს ახალი ჭიშკარი ღობის შესაბამისი სიმაღლით;

თ) აკრძალოს საწყობში ელექტროქურების გამოყენება.

2. დაევალოს კაპიტალური მშენებლობის სამმართველო (ამხ. ს. უჩანეიშვილს) და მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს (ამხ. გ. კბილაშვილს) 10 დღის ვადაში გაანაწილონ და გასცენ რაიონებს ბაზაში დაკროვილი ხე-ტყე და სხვა სამშენებლო მასალები.

3. დაევალოს სამინისტროს საპროექტო კანტორას (ამხ. თ. ქიქოძეს) ათი დღის ვადაში შეადგინოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. უჩანეიშვილი) მიამაგროს ლილოს ბაზის კაპიტალური რემონტისა და ელექტროსიგნალიზაციის გაყვანილობის წესრიგში მოსაყვანად ტექნიკური ზედამხედველი.

4. დაევალოს სამინისტროს მთავარ ბუღალტერს (ამხ. ღ. ყარაშვილს) გამოყოს სათანადო სახსრები ბაზის შენობა-ნაგებობების შეკეთებისა და წესრიგში მოსაყვანად.

5. დაევალოს მინისტრის მოადგილეს (ამხ. მ. ქოჩაკიძეს) კონტროლი გაუწიოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 19 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 20 მარტის დადგენილება

### ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობათა და ეზო-კარმიდამოების კეთილმოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების ხამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საკმაო მუშაობა ჩატარდა სასკოლო შენობებსა და ეზო-კარმიდამოებში ესთეტიკური გარემოს შესაქმნელად. სკოლების საგრძნობმა ნაწილმა მაღალი გემოვნებით გააფორმა სასკოლო კაბინეტები, დარბაზები, ვესტიბიულები, საკლასო ოთახები, დერეფნები, ყვავილნარებითა და სკვერებით დაამშვენა სასკოლო ეზოები. არასრული მონაცემებით, 1973 წლის განმავლობაში, სასკოლო ეზოებსა და სასწავლო-საცდელ ნაკვეთებში დარგა 150.000-ზე მეტი ძირი ხე, ბუჩქი და სხვა დეკორაციული მცენარე.

ბევრ სასკოლო შენობასა და ეზოში მოეწყო მხატვრულად გაფორმებული დასასვენებელი კუთხეები, ხეივნები, ფანჩატურები, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ დასვენება, გონივრული გართობა, მხატვრული ლიტერატურის კითხვა, შეკრებების და შეხვედრების მოწყობა და ს. ვ. ამ მხრივ გამოირჩევა დუშეთის, გორის რაიონის ატენისა და ხაშურის რაიონის ტაშისკარის სკოლა-ინტერნატები; მცხეთის რაიონის მისაქციელის, გაგრის 1-ლი, ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის, აბაშის რაიონის ონტოფოს, ცხაკაიას რაიონის ნოქალაქევის, თელავის რაიონის წინანდლისა და ნაფარეულის, გურჯაანის რაიონის ვეჯინის, სოფელ გურჯაანის, საგარეჯოს რაიონის მახარაძ სა და კაჭრეთის საშუალო სკოლები.

რესპუბლიკის მთელი რიგი სკოლების დერეფნებში, საკლასო ოთახებსა და კაბინეტებში გამოკრულია მაღალი გემოვნებით შესრულებული პლაკატები და სტენდები, კედლის გაზეთები და სურათები, გონივრულად შერჩეული აფორიზმები და ლოზუნგები, მოწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილია მწვანე და ცოცხალი კუთხეები. ირგვლივ დამკვიდრებული სიფაქიზე, სისუფთავე და წესრიგი კეთილ გავლენას ახდენს მოსწავლეებზე, მათ კულტურულ ჩვევებზე, ამაღლებს და ხვეწს მათ გემოვნებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ფოთის 1-ლი, მე-2 და მე-4, ზუგდიდის პირველი და მეორე, ხობის მე-3, ქუთაისის მე-2. გუდაუთის 1-ლი, მე-3, მე-4, გაგრის 1-ლი, ბათუმის 1-ლი, თბილისის 43-ე 53-ე, 62-ე და ზოგიერთი სხვა სკოლა.

დუშეთის სკოლა-ინტერნატის ტერიტორია გამწვანებულია ერთიანი გეგმის მიხედვით. გარდა წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეების სარტყელისა, რომელიც გარშემო აკრავს მთელ ტერიტორიას, ეზოში მოწყობილია დასასვენებელი ადგილები, ყვავილნარების გაზონები, სათამაშო მოედნები და სხვა.

ფოთის სკოლები ვამ ირჩევიან სასკოლო შენობების ინტერიერების მოწყობის კარგი ტრადიციით. მაგალითად, 1-ლი სკოლის სართულის მთელ დერეფანში, ლამაზ სადგამებზე, ჩამწკრივებულია ქოთნის ყვავილები, დერეფნის გასწვრივ, სხვადასხვა ზომის გალიებში მოუთავსებიათ ფრინველები, მეორე სართულზე კი, ქოთნის ყვავილებს შორის, დადგმულია აკვარიუმები ცოცხალი თევზებით.

თელავის რაიონის სოფელ ნაფარეულის სკოლა მოთავსებულია ძველი ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე. მოსწავლეებს მთელი ეს ეს ტერიტორია გემოვნებით გაუმწვანებიათ, ხოლო ციხე-სიმაგრის ორ ბურჯში მოუწყვიათ სოფლის ცხოვრების ისტორიისა და დღევანდელობის ამსახველი მუზეუმი.

მიუხედავად აღნიშნულისა, რესპუბლიკის მთელ რიგ სკოლებში, ესთეტიკური გარემოს მოწესრიგების მიზნით, თითქმის არაფერი კეთდება. ბევრ სკოლაში უსუფთაობაა, ჭუჭყიანია იატაკები, დასვრილია კედლები, მოუვლელია სველი წერტილები, უგემოვნოდაა გაფორმებული, საერთოდ გაუფორმებელია ინტერიერები. ხრიოკი და დანაგვიანებული ეზო-კარმიდამო მძიმე გავლენას ახდენს მოსწავლეებზე. ზოგჯერ სკოლების დერეფნებისა და საკლასო ოთახების კედლები გადატვირთულია ზედმეტი, უსარგებლო და არაფრისმთქმელი პლაკატებითა და სურათებით. ფანჯრის რაფებზე გამოფენილია სხვადასხვა საოჯახო ჭურჭელსა და კონსერვის ქილებში მოთავსებული ოთახის ყვავილები, საკლასო ოთახებში აწყვია დამტვრეული და უსარგებლო ინვენტარი, მინებჩამტვრეულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარადები, სამასწავლებლოში უწესრიგოდაა დაყრილი წიგნები, ჟურნალები, რუკები და სხვა სასწავლო ინვენტარი.

არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს გულრიფშის, დრანდისა და განახლების; ხობის რაიონის ხეთის, აბაშის რაიონის შისპირის 8-წლიანი, წალენჯიხის 1-ლი, ქ. გურჯაანის, მცხეთის საშუალო სკოლები, გულრიფშის რაიონის გა ახლების სკოლაში ცუდ შთაბეჭდილებას ტოვებს ინტერიერების გაფორმება. მაგალითად, ლიტერატურის მ სწავლებელს აქ გამოუკრავს უხეიროდ გაფორმებული სტენდი მიძღვნილი გალაკტიონ ტაბიძასადმი.

საერთოდ, სტენდები ძველია და ჭუჭყიანი, გულრიფშის რაიონის დრანდის სკოლა თუმცა მოთავსებულია ახალ შენობაში, მაგრამ დერეფნები, ვესტიბიულები სრულიად მოუწყობელი და ჭუჭყიანია, მხოლოდ ერთ კუთხეში მიეკრათ ბავშვების ნახატები, ყოველგვარი სისტემისა და გემოვნების გარეშე. ქალაქ გურჯაანის საშუალო სკოლას გამოყოფილი აქვს საკმაოდ დიდი ტერიტორია, მაგრამ მთელი ეზო მოუწყობელია, ბევრ ადგილას ყრია ნაგავი, არ არის გამწვანებული, არ არის გაშენებული ყვავილნარები და სხვ.

დასახელებული სკოლების ხელმძღვანელები სათანადოდ არ აფასებენ ესთეტიკური გარემოს შექმნის საჭიროებას, მის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობას, ნაკლებად ზრუნავენ საყოფაცხოვრებო ესთეტიკისა და, საერთოდ, ესთეტიკურ აღზრდაზე. ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი და მასწავლებელი მაღალი გემოვნებით აფორმებს და ამწვანებს საკუთარ კარმიდამოს, მაგრამ ნაკლებად ზრუნავს სკოლისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სათანადო მოვლა-პატრონობაზე.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ესთეტიკური გარემოს შექმნის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სასკოლო ეზოკარმიდამოებში ყვავილნარებისა და მწვანე ნარგავების გაშენებას, ეზოებში დასასვენებელი კუთხეების, ხეივნების, ფანჩატურების, სათამაშო მოედნების, გეოგრაფიული, ბიოლოგიური, ბოტანიკური კუთხეების მოწყობას;

ბ) ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, სკოლის პედაგოგიური საბჭოს მონაწილეობით, შეადგინონ და დაამტკიცონ ვეს-

ტრიბუნების, დეკორაციების და საკლასო ოთახების გაფორმების გეგმები. მიაღწიონ იმას, რომ ყოველი გამოფენილი მასალა იყოს პედაგოგიურად გამართლებული, შინაარსიანი, წიგნიერი და მაღალ მხატვრულ დონეზე შესრულებულ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყონ მოსწავლეთა მაქსიმალური მონაწილეობა სკოლის ეზოს კეთილმოწყობისა და ინტერიერების გაფორმების საქმეში;

დ) ყოველდღიური კონტროლი დააწესონ სასკოლო შენობებსა და ეზოებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე.

2. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატური კონტროლი დააწესონ სკოლების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, შენობებისა და ეზო-კარმიდამოს ლამაზად გაფორმებაზე. ამ მიზნით, ყოველწლიურად მოაწყონ სკოლების დათვალიერება, შედეგები განიხილონ განათლების საბჭოს სხდომაზე, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებები გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. დათვალიერების შედეგების მასალები გადმოუგზავნონ ესთეტიკური აღზრდის მეთოდურ კაბინეტს;

ბ) უზრუნველყონ ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მონაწილეობა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ყოველწლიურ კონკურსში—„ვინ უკეთ გაამწვანებს და გაამშვენიერებს სასკოლო კარმიდამოსა და მის შემოგარენს".

3. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა ამხ. (ამხ. ჯ. ღუჯირმა):

ა) სისტემატური მეთვალყურეობა დააწესოს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ესთეტიკური გარემოს შექმნაზე, პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს ამ საქმეში როგორც სკოლებს, ისე განათლების განყოფილებებს;

ბ) სკოლებში საუკეთესო ესთეტიკური გარემოს შექმნის მიზნით, ორი თვის ვადაში კოლეგიაზე განსახილველად წარმოადგინოს დებულება და პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ესთეტიკური გარემოს შექმნის ყოველწლიური შეჯიბრება-დათვალიერების ჩატარების შესახებ.

4. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) საჭირო კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების განხორციელებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 20 მარტის ბრძანება № 241

### ქალაქების თბილისის, რუსთავისა და საგარეჯოს რაიონის ზოგიერთ სკოლაში ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და სიმღერა-მუსიკის სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ

ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ ქალაქების თბილისის, რუსთავისა და საგარეჯოს რაიონის სკოლების საგრძნობი ნაწილი აღჭურვილია სწავლების თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. თბილისის 36, რუსთავის 2 და საგარეჯოს რაიონის 1 სკოლა გადასულია სწავლების კაბინეტურ სისტემაზე და უზრუნველყოფილია ცალკეული დისციპლინების სწავლებისათვის აუცილებელი ხელსაწყო-იარაღებითა და დანადგარებით. ბევრ სკოლაში შექმნილია სათანადოდ აღჭურვილი ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტები. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა კინოდანადგარების, რადიოკვანძების, მაგნიტოფონების, ტელევიზორების, ეპიდიასკოპების, ელექტროდ-მკვრელების, ლინგაფონებისა და სხვა საშუალებათა გამოყენება სწავლების პროცესში.

თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით კარგად არიან აღჭურვილნი და მათი რეგულარული გამოყენება მტკიცედ აქვთ დანერგილი ქ. თბილისის 77-ე 55-ე 43-ე, 53-ე, 87-ე, 137-ე, 123-ე 38-ე, მე-15 და ზოგიერთ სხვა სკოლას (სკოლების დირექტორები: გ. კობახიძე, ო. ლომიძე, ვ. კულაკოვი. ლ. მარგველაშვილი, პ. შუბითიძე, დ. გიორგაძე, ნ. გიორგაძე, ნ. ქავთარაძე, დ. სტეცენკო, ა. მათითაიშვილი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილს შექმნილი აქვს კინოფილმების, დიაპოზიტივების, გრამჩანაწერების, გამოჩენილ მწერლებისა და მხატვრული კითხვის ოსტატების ხმის ჩანაწერების მდიდარი ფონდი.

სასწავლო პროცესში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, მიმზიდველი და მაღალიდეური გაკვეთილების ჩატარებით გამოირჩევიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ე. სურგულაძე (ქ. თბილისის 123-ე საშ. სკოლა), მ. ყირმელაშვილი (ქ. თბილისის 87-ე საშ. სკოლა), კ. ჩხაიძე (ქ. თბილისის 51-ე საშ. სკოლა), ე. გულდამაშვილი (ქ. თბილისის 43-ე საშ. სკოლა), თ. შერკაშიძე (ქ. თბილისის 61-ე საშ. სკოლა), ლ. მგალობლიშვილი (ქ. თბილისის მე-5 საშ. სკოლა), მოსამზადებელი კლასების მასწავლებლები: ლ. ზუდელაშვილი (ქ. თბილისის 55-ე საშ. სკოლა), ლ. ბოჭორიშვილი (ქ. თბილისის 30-ე საშ. სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: ლ. ჯალიაშვილი (ქ. თბილისის 117-ე საშ. სკოლა), ნ. მიქაძე (თბილისის მე-5 საშ. სკოლა), თ. ქაიხოსროშვილი (საგარეჯოს მე-2 საშ. სკოლა), უცხო ენების მასწავლებლები: ნ. მაჩაიძე (ქ. თბილისის მე-15 საშ. სკოლა), ვ. ზიადაძე (ქ. თბილისის 51-ე საშ. სკოლა), მ. ბარათაშვილი (რუსთავის მე-15 საშ. სკოლა), ნ. ისაკაძე (თბილისის 87-ე საშ. სკოლა), ლ. ულიტინა (ქ. თბილისის მე-19 საშ. სკოლა), თ. ჯავახიშვილი (ქ. თბილისის მე-5 საშ. სკოლა), მ. სამსონია (ქ. თბილისის 113-ე საშ. სკოლა), გ. სიშენიოკი (საგარეჯოს 1-ლი საშ. სკოლა), ო. მახარაძე (ქ. რუსთავის მე-15 საშ. სკოლა), სახვითი ხელოვნების მასწავლებელი უშ. ლონდარიძე (ქ. თბილისის 65-ე საშ. სკოლა); სიმღერა-მუსიკის მასწავლებელი ვ. შოშიაშვილი (ქ. თბილისის 89-ე საშ. სკოლა) და სხვ.

მოწინავე მასწავლებელთაგან აღნიშვნის ღირსია ქ. თბილისის 43-ე საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ეთერ ივანეს ასული გულდამაშვილის მუშაობა. კეთილმოწყობილია და მაღალი გემოვნებითაა გაფორმებული ამ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი. კედლებზეა მოსწავლეთა მიერ შესრულებული გამოჩენილ ქართველ მწერალთა პორტრეტები—ხეზე კვეთის, ჭედურობის, ფერწერის ნიმუშები. კარადა სავსეა ქართველ კლასიკოსთა და ცნობილ თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებებით, ალბომებით, რომლებიც ასახავენ ბავშვებთან ჩატარებულ მრავალფეროვან მუშაობას: ექსკურსიებს მწერალთა პან-

თეონში, მემორიალურ მუზეუმებში, ლიტერატურულ საღამოებს, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მოსწავლეებზე ე. გულდამაშვილის მიმზიდველი გაკვეთილები, მაგალითად, მიმდინარე წლის 17 თებერვალს IX კლასში ჩატარებული გაკვეთილის თემა იყო გალაკტიონ ტაბიძის „დროშები ჩქარა". მასწავლებელმა უაღრესად შთამბეჭდავად, ზეპირად წაუკითხა მოსწავლეებს ეს ლექსი, ჩაუტარა შინაარსიანი საუბარი დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ირგვლივ და, ბოლოს, მოასმენინა თვით პოეტის შთამაგონებელი ხმა. მასწავლებელ ე. გულდამაშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მისი ბევრი არაქართველი მოსწავლე გატაცებულია ქართული პოეზიით.

ასევე ყურადღებას იმსახურებს ქ. თბილისის 65-ე საშუალო სკოლის (დირექტორი გ. ჩალაური) სახვითი ხელოვნების მასწავლებელ უშანგი პავლეს ძე ლონდარიძის ნაყოფიერი მუშაობა. სკოლას აქვს ყველა საჭირო ინვენტარით შეუსაბული და კეთილმოწყობილი სახვითი ხელოვნების კაბინეტი. მასწავლებელი უ. ლონდარიძე კინოფილმების, დიაფილმების, დიაპოზიტივების ჩვენებით აცნობს მოსწავლეებს აღორძინების ხანის ოსტატების—მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის ქმნილებებს, თანამედროვე მხატვრების შემოქმედებას, ქართველ, რუს, ესტონელ და სხვა ბავშვთა მხატვრული ნამუშევრების ნიმუშებს. მასწავლებელი ხშირად აწყობს მოსწავლეთა ექსკურსიებს ხელოვნების მუზეუმში, სამხატვრო გალერეაში, ხალხური შემოქმედების მუზეუმში. ნატურიდან ხატვის ჩვევების დასანერგად ბავშვები გაჰყავს ბუნების წიაღში, ზოოპარკში, ქალაქის გარეუბნებში. ამ მრავალფეროვანი და შინაარსიანი მუშაობის შედეგია ის საყურადღებო გამოფენა, რომელიც ა. წ. 15 თებერვალს გაიხსნა სკოლაში და რომელზეც წარმოდგენილი იყო 350-ზე მეტი ბავშვთა მხატვრული ნამუშევარი ფერწერაში, ძერწვაში, გრაფიკაში. ამ სკოლის რამდენიმე მოსწავლე საქართველოს მოსწავლეთა მე-6 და მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადების ლაურეატია. მათი ნამუშევრები ხშირადაა ექსპონირებული სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე. ექსპონატები გაიგზავნა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ახალგაზრდობის მე-10 მსოფლიო ფესტივალზე და თბილისში ახლადგახსნილ ბავშვთა მხატვრული ნამუშევრების მუდმივმოქმედ მუზეუმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისაბაძია ქ. თბილისის 88-ე სკოლაში დამკვიდრებული ტრადიცია ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსური გამოყენებით ღია გაკვეთილების ჩატარებისა.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკური საშუალებებით შედარებით ნაკლებად არიან მომარაგებულნი, საჭირო მასალების სიმცირესა მატერიალური ბაზის მხრივაც სიძნელეებს განიცდიან, საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავის, პატარძეულის, აგრეთვე საგარეჯოს 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლების ცალკეული ენთუზიასტი მასწავლებლები ახერხებენ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას სწავლების პროცესში.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ესთეტიკური ციკლის დისციპლინების სწავლებისას ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების საქმეში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი: ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება არარეგულარულად წარმოებს ქ. რუსთავის მე-2, მე-10 და მე-13 საშუალო სკოლებში. რუსთავის მე-13 საშუალო სკოლას ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტი არ გააჩნია და ის ხელსაწყოები და აპარატურა, რაც სკოლას აქვს, სამხედრო კაბინეტში ინახება. ამიტომ მათი გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხერხდება, როცა სამხედრო კაბინეტი თავისუფალია, რაც არც თუ ისე ხშირი მოვლენაა.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მხრივ ქ. თბილისის 89 ე საშუალო სკოლაში (დირექტორი მ. მაღლაკელიძე). თუმცა სკოლას აქვს ყველა საჭირო დანადგარი და ხელსაწყო, შექმნილია ტექნიკურ საშუალებათა სპეციალური კაბინეტი და შემოღებულია სწავლების კაბინეტური სისტემა, სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ამ საშუალებათა გამოყენებაზე ნაკლებად ზრუნავს. ტექნიკურ საშუალებებს არ იყენებენ სწავლების პროცესში და მოსაწყენ გაკვეთილებს ატარებენ ამ სკოლის მასწავლებლები: ა. არუთინოვი (ქართული ლიტერატურის გაკვეთილი $IX^4$ კლასში), თ. ჩხეიძე (ქართული ლიტერატურის გაკვეთილი მე-9 კლასში), ბერაძე (ქართული ენის გაკვეთილი მოსამზადებელ კლასში), ბახტაძე (რუსული ენის გაკვეთილი $III^2$ კლასში), ამავე სკოლის ქართული ლიტერატურის კაბინეტს განაგებს მასწავლებელი ა. არუთინოვი, რომელიც არ იჩენს არავითარ მონდომებას კაბინეტის მოსაწყობად და შესავსებად. ამის გამო, საკმაოდ დიდი ოთახი, რომელიც კაბინეტს აქვს დათმობილი, თითქმის ცარიელია. თვით მასწავლებელი არუთინოვი და-

მაკმაყოფილებლად ვერ ფლობს საგანს და გაკვეთილებს დაბალ
დონეზე ატარებს.

არადამაკმაყოფილებლად ან სრულიად არ იყენებენ სწავლე-
ბის პროცესში ტექნიკურ საშუალებებს და უფერულ გაკვეთილებს
ატარებენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები:
ფ. ჯავახია (ქ. თბილისის 46-ე საშ. სკოლა), ა. მეკოკიშვილი
(რუსთავის მე 2 საშ. სკოლა), მ. ჯმუხაძე (ქ. თბილისის 44-ე საშ
სკოლა), ტ. ლომთაძე (ქ. თბილისის 30-ე საშუალო სკოლა), რუ-
სული ენის მასწავლებელი ე. წოჯოიანი (ქ. თბილისის 30-ე საშ.
სკოლა) და სხვები.

აღსანიშნავია, რომ შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში
ტექნიკური საშუალებანი თითქმის სრულიად არ გამოიყენება სიმ-
ღერა-მუსიკისა და სახვითი ხელოვნების გაკვეთილებზე. ამ საგნების
სწავლებას ბევრ სკოლაში არ ექცევა სათანადო ყურადღება, მათ-
თვის არ არის შექმნილი სპეციალურად აღჭურვილი კაბინეტები.
სახვითი ხელოვნების სწავლებისათვის არა აქვთ თაბაშირის მოდე-
ლები, მოლბერტები ტუმბოებით, სასწავლო პროგრამასთან დაკავ-
შირებული კინოფირები, დიაფილმები, დიაპოზიტივები, რეპრო-
დუქციები. ხშირად, სახვით ხელოვნებას და სიმღერა-მუსიკას არა-
სპეციალისტები ასწავლიან. სასკოლო ბიბლიოთეკებს არ გააჩნიათ
ამ საგნების სწავლებისათვის საჭირო დამხმარე ლიტერატურა. სიმ-
ღერა-მუსიკის გაკვეთილები ძირითადად საკლასო ოთახებში ტარ-
დება, სადაც არ დგას რაიმე საკრავი ინსტრუმენტი, მაგნიტოფონი
ან ელექტროდამკვრელი, რის გამო გაკვეთილები უფერულად ტარ-
დება. მაგალითად, ქ. თბილისის 75-ე საშ. სკოლის III კლასში
სიმღერა-მუსიკის გაკვეთილის თემა იყო მოცარტის „ნანა“. მასწავ-
ლებელმა მ. რუხაძემ ვერ მოასმენინა ბავშვებს გენიალური კომპო-
ზიტორის ეს ქმნილება ვერც გრამჩანაწერის მეშვეობით, ვერც სა-
კუთარი შესრულებით, რადგან საკლასო ოთახში არ იდგა ინსტ-
რუმენტი და არც მაგნიტოფონი ან ელექტროდამკვრელი გააჩნდა.
ყოველგვარი საკრავის გარეშე ჩაატარა გაკვეთილი აგრეთვე მას-
წავლებელმა ვ. ბაზილევამ თბილისის 37-ე სკოლის I კლასში.

ქ. თბილისის 147-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ჩა-
ფიძე) სახვით ხელოვნებას არასპეციალისტი ლ. დემეტრაშვილი
ასწავლის. მასწავლებელი არათუ იყენებს სწავლებაში ტექნიკურ
საშუალებებს, მას არ გააჩნია განათლების სამინისტროს მიერ დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტკიცებული პროგრამები და გაკვეთილებს ნებისმიერ თემაზე და დაბალ დონეზე ატარებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების ბაზა გეგმაზომიერად არ ანაწილებს სკოლებზე ტექნიკურ საშუალებებს, რის გამო ზოგიერთი სკოლა უხვადაა აღჭურვილი ამ საშუალებებით, ზოგს კი აუცილებელი ხელსაწყოებიც არ გააჩნია.

ქალაქებისა და რაიონების ფილმოთეკებს არასაკმარო რაოდენობით მოეპოვებათ სასწავლო ხასიათის კინოფილმები, დიაპოზიტივები, გრამჩანაწერები და სხვა საჭირო მასალა, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დარგებში, რის გამო ისინი ვერ აკმაყოფილებენ სკოლების გაზრდილ მოთხოვნილებას.

სკოლების მცირე რაოდენობა სარგებლობს ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის ფონოლაბორატორიაში არსებული სასწავლო ფილმებითა და გრამფირფიტებზე ჩაწერილი მასალით. ბევრმა სკოლამ არ იცის ამ ლაბორატორიის არსებობის შესახებ.

ტექნიკური საშუალებებით სკოლების სათანადო აღჭურვისა და მოსწავლეთა გონებრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში ამ საშუალებათა ეფექტური გამოყენების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლების დირექტორებმა:

ა) იზრუნონ სკოლის კაბინეტების ტექნიკური საშუალებებით შევსება-გამდიდრებისათვის, კერძოდ, ესთეტიკური ციკლის საგნების კაბინეტების აღჭურვისათვის;

ბ) მუდმივი მეთვალყურეობა და კონტროლი დააწესონ მასწავლებელთა მიერ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების მდგომარეობაზე და ეს საკითხი პერიოდულად გაიტანონ სკოლის პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგნად;

გ) უზრუნველყონ მასწავლებელთა გადამზადება იმ ვარაუდით, რომ ყველა მათგანი ფლობდეს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას;

დ) გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მიზნით, პერიოდულად მოაწყონ მოწინავე მასწავლებელთა ღია გაკვეთილები ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით;

ე) მჭიდრო კავშირი დაამყარონ ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ კაბინეტთან, ისარგებლონ ამ



3.

კაბინეტის მიერ გამოცემული დამხმარე მეთოდური ლიტერატურით და ფონოლაბორატორიაში არსებული ფონდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. განათლების სამინისტროს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების ბაზამ (ამხ. კ. სუპატაშვილმა) გეგმაზომიერად გაანაწილოს სკოლებზე ტექნიკური საშუალებები და მასალები.

3. ესთეტიკური აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა (ამხ. ჯ. მუჯირმა):

ბ) კინო და ფონოლაბორატორიების მეშვეობით შექმნას სასწავლო ხასიათის კინოფილმების, დიაფილმებისა და დიაპოზიტივების კომპლექტები ჰუმანიტარული დარგის მასწავლებელთა დასახმარებლად;

4. ეთხოვოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (მინისტრი ამხ. ო. თაქთაქიშვილი) დაავალოს გრამფირფიტების ჩამწერ სტუდია „მელოდიას", გამოუშვას საბავშვო მოთხრობების, ზღაპრების და სიმღერების სერიები სკოლებისათვის

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკმა) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ № 248 МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР ОТ 22 МАРТА 1974 г.

## Об утверждении отчета по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР за 1973 год

Общая сумма расхода по мероприятиям общего образования в 1973 г. составила 10.318,0 тыс. руб. при финансировании в 10.404,0 тыс. руб. Неосвоение средств в сумме 86,0 тыс. руб. в основном относится к расходам по питанию воспитанников школ-интернатов, ввиду недобра 148 детей в средне-годовом исчислении.

Наряду с этим были допущены, руководителями некоторых учреждений, перерасходы в части ассигнований по хозяйственным расходам и незаконные выплаты—по Глданской № 1 школе-интнрнату спортивного профиля—2.785 руб., Тбилисскому Институту усовершенствования учителей—1.499 руб., Тбилиской музыкальной школе-инернату—1.823 руб., Городской школе-интернату—280 рублей и т. д.

Госкапвложения в 1973 г. не были освоены в сумме 536,0 тыс. руб. в части оснащения вновь построенных школ инвентарем и оборудованием, из-за незавоза такового поставщиками.

Допущена дебиторская задолженность в сумме 59,0 тыс. руб. при кредиторской—33,0 тыс. рублей.

В соответствии указаниями с существующими в целях наведения строжайшей дисциплины в деле расходования государственных средств. изжития бюджетно-финансовых нару-

шений и обеспечения экономного расходования бюджетных ассигнований,

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приказываю:

1. Обязать руководителей учреждений:

а) принять решитнльные меры к допущению каких-либо бюджетно-финансовых нарушений и в кратчайший срок ликвидировать всю дебиторскую задолженность;

б) обеспечить полное освоение средств и выполнение всех мероприятий, предусмотренных бюджетом;

в) обеспечить набор детей в полном соответствии с утвержденным планом и нормой питания, согласно утвержденному количеству и ассортименту;

г) принять меры к сохранности жесткого и мягкого инвентаря, не допуская преждевременной его амортизации;

3 Планово-финансовому Управлению (тов. Квачадзе А.):

а) при ассигновании средств на 2-й квартал текущего года зачесть подведомственным организациям всю сумму дебиторской задолженности и сверхнормативные остатки материалов;

б) выделенные суммы на капитальный ремонт зданий производить лишь после утверждения соответствующей проектно-сметной документации.

Принять к сведению, что на лиц, допустивших незаконные выплаты наложены административные взыскания, в частности директор Глданской школы-интерната Павленишвили Д. снят с работы, а бухгалтер этого же интерната Топурия В. освобождена от работы, ст. бухгалтеру Гордской школы-интерната Киртадзе Г. П. объявлен выговор и т. д.

Отчет за 1973 год по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР утвердить.

**Основание:** Постановление Коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 22 марта 1974 года.

Министр просвещения
Грузинской ССР **Т. Лашкарашвили**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წ. 27 მარტის ბრძანება № 263

### მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის შედეგების შესახებ

მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოში (ყოფილი უფროსი ს. ნ. არველაძე) მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის თვეში ჩატარებული რევიზიით გამოვლინებულია სერიოზული ხასიათის დარღვევები:

1972—1973 წლებში, მიმოქცევის ხარჯების შესრულებისას, ადგილი ჰქონდა ზოგიერთ მუხლში გადახარჯვა-უთვისებლობას.

1972—1973 წლებში გადახარჯულია 5.561 მანეთი.

1973 წელს დაშვებულია 32,9 ათასი მანეთის არაგეგმიური ზარალი.

ხარჯების დასაფარავად ზოგიერთ საქონლის გასაყიდ ფასზე თვითნებურად მოხდენილია დარიცხვა—4%-მდე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საწყობებსა და მის ფილიალებში 1973 წელს შემოზიდულად ირიცხება 6.981 ტონა სხვადასხვა საქონელი, რომლის დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის დროებით მუშებზე გაცემულია 14.423 მანეთი, აღნიშნული თანხა გაცემულია უწყისებით ხელშეკრულებისა და სამუშაოს შესრულების აქტის გარეშე,

ავტომანქანა „მოსკვიჩი“ ფურგონის შეკეთებისათვის 1972 წელს გაცემულია ნაღდი ფული 150 მანეთი.

ბალანსიდან, რეალიზაციისათვის უვარგისობის გამო, ჩამოწერილია 2.637 მანეთად ღირებული მატერიალური ფასეულობა ისე, რომ ჩამოწერილი ფასეულობის შესახებ ბუღალტერიაში არ არსებობს დეფორმირება-განადგურების აქტი და არც მეორადი გადამუშავების წარმოებისათვის ჩაბარების დოკუმენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარმა ბუღალტერმა თ. ჯიქიამ და ბაზის უფ. ბუღალტერმა ლ. მჭედლიშვილმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო ხელმძღვანელობა და კონტროლი სამმართველოსადმი დაქვემდებარებული საწყობების ფაქტურებისა და ბუღალტრებისადმი, რის შედეგად, მატერიალურ ფასეულობათა გაცემისას, ზოგიერთ გასავლის ფაქტურაში ჯამების გამოყვანისას არ არის დაცული სიზუსტე, ადგილი ჰქონდა ფაქტურისტების მიერ თანხების არასწორად გადამრავლებას, ამავე დროს საწყობის გამგეების მიერ საქონლის გაცემისას, სხვადასხვა ფასის საქონლის ერთიმეორეში არევის ფაქტებს.

საწყობში ირიცხება ისეთი საქონელი, რომლის რეალიზაცია წლების მანძილზე არ მოხერხდა და ითვლება ჩაწოლილად (კალოში, ბოტი, ტისმა, დოგმა-პეტლი და სხვ.).

დარღვეულია მატერიალური ფასეულობის მისაღებად მინდობილობების გაცემისა და აღრიცხვის არსებული წესი. გაცემული მინდობილობების რეგისტრაცია წარმოებს დაუნომრავ, ზონარგაუყრელ, დაულუქავ ჟურნალში.

საწყობის გამგეების მიერ ადგილი ჰქონდა მინდობილობების რეგისტრაციის წარმოების დაუნომრავ, ზონარგაუყრელ, დაულუქავ ჟურნალში.

საწყობის გამგეების მიერ ადგილი ჰქონდა მინდობილობების გარეშე მატერიალურ-ფასეულობათა გაცემას. ასე მაგალითად, 1973 წლის თებერვალ-მარტის თვეში მახინჯაურის ფილიალის დამხმარე მუშა ქათამაძეზე მინდობილობის გარეშე გაცემულია 20.900 მანეთად ღირებული მატერიალური ფასეულობა.

მატერიალურ პასუხისმგებელ პირებთან, სამუშაოზე მიღებისას, დღემდე არ არის დადებული ხელშეკრულება ქონებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე და არა აქვთ ჩამორთმეული ხელწერილი, რომ ისინი იცნობენ სასაწყობო მუშაობის წესებს. ირღვევა მატერიალურად პასუხისმგებელი პირების შვებულებაში გაშვების ვადები. ორი წლის განმავლობაში მორიგი შვებულებით არ უსარგებლია № 2 საწყობის ყოფილ გამგეს ე. ქვათაძეს, ხოლო შვებულებაში წასულები არ ახდენდნენ მატერიალურ-ფასეულობათა აღწერას და გადაბარებას. საწყობებში არ ხდებოდა საქონლის მიღებისას შეფუთული საქონლის გახსნა და მისი შემოწმება თანდართული სპეციფიკაციის მიხედვით.

მიმდინარე წლის 3—27 იანვარს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინებულ იქნა თბილისის №№ 1, 3, 4 საწ-

ყობებში, ქუთაისისა და მახინჯაურის ფილიალებში დანაკლისი 843 მან. და ზედმეტობა 331 მანეთი. აგრეთვე სხვადასხვა ფასიანი ერთი და იგივე საქონლის ურთიერთშესაძლო გადახურვის შემდეგ გამოვლინებულია დანაკლისი, რაც თანხით შეადგენს 23.191 მან. ხოლო მეტობა 15 დასახელების—თანხით 1.697 მან. გარდა ამისა, გამოვლინებულია გადახურვის შემდეგ ფასით სხვაობის დანაკლისი 11.999 მანეთი და 65 კაპიკი, მეტობა 5.322 მან.

მოუწესრიგებელია მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს ავტომეურნეობა. სამმართველოს ბალანსზე ირიცხება და ფაქტიურად სახეზეა 9 ავტომანქანა. აღნიშნული მანქანებიდან ექსპლოატაციაშია ორი სატვირთო და ორი სპეცმანქანა, დანარჩენი უმოქმედოდ დგანან გარაჟში და საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს სატვირთო მანქანის გაზ.—51 № 57—06-ის მძღოლი ვ. ამირჯანიანი 1972 წლიდან დღემდე სპიდომეტრის გარეშე ამუშავებს მანქანას, ბუღალტერიაში კი წარდგენილი საგზურები 1972—1973 წლებში—55.377 კილომეტრს შეადგენს.

სამმართველომ ვერ უზრუნველყო გამოყოფილი ფონდების მთლიანი ათვისება (ცემენტი, ფანჯრის მინა, საპონი, ფეხსაცმელი და სხვ.).

ყოფილ საწყობის გამგე ნ. ლუკოევზე 1965 წლიდან ირიცხება მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი 1,3 ათ. მან. აღნიშნული თანხის გადახდევინებაზე არსებობს სასამართლოს აღმასრულებელი ფურცელი, ამის მიუხედავად, მომარაგების სამმართველოს არავითარი ზომები არ მიუღია მის სალიკვიდაციოდ.

1973 წლის 1-ლი იანვრისათვის დებიტორული დავალიანება ირიცხებოდა 21,6 ათ. მან., 1974 წლის პირველი იანვრისათვის კი ეს დავალიანება, შემცირების ნაცვლად, გაზრდილია 27.4 ათ. მანეთამდე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

§ I. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს უფროსმა გ. კბილაშვილმა:

1. მიიღოს ზომები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

2. მკაცრი კონტროლი დააწესოს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებაზე და თანხების ხარჯვის სისწორეზე: არ დაუშვას დამტკიცებული მიმოქცევის ხარჯებში მუხლებს შიგნით გადახარჯვა-აუთვისებლობა.

3. არ დაუშვას თანამშრომელთა ხელფასებიდან დაკავებული სახელმწიფო გადასახადების ბიუჯეტში დაგვიანებით ჩარიცხვა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დააწესოს მტკიცე კონტროლი საქონლის გასავლის ფაქტურების სწორად გამოწერა-გაფორმებაზე, არ დაუშვას საქონლის გაცემა მინდობილობების გარეშე; მატერიალურ ფასეულობათა შემოსავალში ალება აწარმოოს საქონლის წინასწარი სპეციფიკაციის მიხედვით და მიღებისთანავე მოახდინოს მისი გაპიროვნება მატერიალურ პასუხისმგებელ პირზე.

5 კატეგორიულად აეკრძალოს ყველა საწყობის გამგეს მომხმარებლის მიერ წარმოდგენილი ფაქტურების მონაცემების თვითნებური შეცვლა.

6. არ დაუშვას მასალების გაცემა დამტკიცებული განაწილების გარეშე.

7. მიიღოს ზომები მატერიალურ პასუხისმგებელ პირებზე გამოვლინებული დანაკლისების დაუყოვნებლივ დაფარვისათვის და მეტობის შემოსავალში ასაღებად.

8. მკაცრი ადმინისტრაციული სასჯელი დაადოს საწყობის გამგეებს, რომლებსაც აღწერის ჩატარების დროს გამოუვლინდათ მატერიალურ-ფასეულობათა და ფასთა სხვაობების მეტ-ნაკლებობა;

9. შეისწავლოს საწყობში შეზიდული რეალიზაციისათვის გამოუსადეგარი საქონლის საკითხი და მიიღოს საჭირო ზომები აღნიშნულის სალიკვიდაციოდ.

10. მიიღოს ზომები დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დაფარვისათვის.

§ 2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს ყოფილი უფროსი ს. ნ. არველაძე 1973 წლის 1-ლი დეკემბრიდან განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

§ 3. ბაზის უფროს ბუღალტერ ლ. მჭედლიშვილს ფაქტურისტებისა და ბუღალტრებისადმი სუსტი კონტროლისათვის გამოეცხადოს საყვედური.

§ 4. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს მთ. ბუღალტერს თ. ჯიქიას, ბაზის ბუღალტერიის საქმიანობისათვის სუსტი კონტროლისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში დაშვებული დარღვევებისათვის გამოეცხადოს საყვედური.

§ 5. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ № 2 საწყობის გამგე ვ. გ. ქვათაძე დანაკლისისათვის, რევიზიის პერიოდში, გადაყენებულია თანამდებობიდან და მასალები მის მიმართ გადაეცა გამოძიებისათვის საქარხნო რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას.

§ 6. რევიზიის აქტში აღნიშნული დარღვევები განხილულ იქნეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე და დაისახოს სათანადო ღონისძიებანი მომავალში მსგავსი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

§ 7. კატეგორიულად აკრძალულ იქნას გასაყიდ საქონელზე %%-ის დარიცხვა.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1974 წლის 21 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1974 წლის 10 იანვრის ერთობლივი

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

### რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ახალგაზრდობაში მასობრივი მოძრაობის, დევიზით — „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს საშუალო განათლება“, 1973 წლის შედეგების შესახებ

1. დამტკიცდეს პროფკავშირული, კომკავშირული და სახალხო ხო განათლების ორგანოების სრულიად საკავშირო დათვალიერების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომისიის ანგარიში.

2. სრულიად საკავშირო დათვალიერებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის დაჯილდოვდნენ:

### I. საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშებით:

1. რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

2. ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება,

3. გურჯაანის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება.

II. საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ი პ ლ ო მ ე ბ ი თ:

1. ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის დიაკონიძეების სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი,

2. ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ფურტიოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი,

3. ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ცხმორისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი,

4. ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ქვედა თხილნარის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი,

5. ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ზედა კვირიკეს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი,

6. ქ. ქუთაისის № 42 პროფტექნიკური სასწავლებელი,

7. ს. მ. კიროვის სახ. სამკერვალო გაერთიანებების ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკა,

8. ქ. ჭიათურის № 1 საღამოს საშუალო სკოლა,

9. ახმეტის რაიონის პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა,

10. ახმეტის რაიონის მაღრაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა,

11. ახმეტის რაიონის ოჟიოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა,

12. „საქსოფლტექნიკის" ბოლნისის რაიგანყოფილება,

13. „მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველო,

14. ბოლნისის ღვინის ქარხანა,

15. ბორჯომის საღამოს საშუალო სკოლა,

16. ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის მ. კალინინის სახ. კოლმეურნეობა,

17. თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის საშუალო სკოლა,

18. თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის შ. რუსთაველის სახ. კოლმეურნეობა,

19. თეთრიწყაროს მევენახეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა,

20. თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. საქართველოს ალკკ თეთრიწყაროს რაიკომი,
22. ქ. თბილისის № 3 საღამოს საშუალო სკოლა,
23. ქ, თბილისის № 4 საღამოს საშუალო სკოლა,
24. ქ. თბილისის № 19 საღამოს საშუალო სკოლა,
25. ქ. თბილისის № 22 საღამოს საშუალო სკოლა,
26. ქ. თბილისის № 31 საღამოს საშუალო სკოლა,
27. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“
28. გ. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხანა,
29. თბილისის ქარხანა „თბილპრიბორი“,
30. თბილისის საავეჯო კომბინატი „განთიადი“,
31. კასპის „ელექტროაპარატურის“ ქარხანა,
32. ბათუმის რესპუბლიკური დაუსწრებელი მეზღვაურთა საშუალო სკოლა.

**III. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით:**

1. ფირცხალაიშვილი მერი ნოეს ასული—ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე,

2. გედევანიძე ალექსი ივანეს ძე—ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის მეთოდისტი,

3. ჯიოევი გ. კ.—ცხინვალის საღამოს რუსული საშუალო სკოლის დირექტორი,

4. კალმახელიძე გ. ს.—ცხინვალის საღამოს ქართული საშუალო სკოლის დირექტორი,

5 მჭედლიძე ვ. გ.—ცხინვალის რაიონის ერედვის საშუალო სკოლის დირექტორი,

6. ბესტაევი ა. კ.—ცხინვალის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის ავნევის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

7. კოზაევი გ. ს.—ცხინვალის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის კიროვის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი,

8. ხაჩიროვი ხ. ი.—ცხინვალის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი,

9. ძიძიშვილი გრიგოლ ვიქტორის ძე—ქუთაისის მინის ტარის ქარხნის კადრების განყოფილების გამგე,

10. ნაცვლიშვილი დიმიტრი პავლეს ძე—ორჯონიკიძის სახ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კადრების განყოფილების გამგე,

11. გიორგაძე დარიკო ლავრენტის ას.—ქუთაისის № 5 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. აოაჩამიძ მიხეილ გრიგოლის ძე—ქუთაისის განათლების განყოფილების მეთოდისტი,

13. გუნაშვილი ბისანა თოუს ძე—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის ომალოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

14. კენკიშვილი ბაბულია ნიკოს ასული—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის მაღრაანის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

15. ნახუცრიშვილი იოსებ მიხეილის ძე—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის ოჟიოს სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

16. ბაგაური ვლადიმერ ზაალის ძე—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის ქორეთის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

17. ებიტაშვილი ვალერიან ნიკოლოზის ძე—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის წინაუბნის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

18. შავბელიშვილი ტრისტან იბოს ძე—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის ტლვანის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

19. ეჯიბაძე ვენერა კირიჯეს ასული—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

20. ბართიშვილი ეკატერინე თევდორეს ასული—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

21. გიგაური გიორგი კონსტანტინეს ძე—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე,

22. სულხანიშვილი ს.—ბოლნისის რაიონის კაზრეთის № 25 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი,

23. მიქელაძე ბ.—ბოლნისის რაიონის კაზრეთის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე,

24. ფოჩხუა ა.—„მადნეულმშენის" სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინერი,

25. ბახტაძე ფ.—ბოლნისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. ბექუაშვილი ვ.—ბოლნისის განათლების განყოფილების მეთოდისტი,

27. გორბაჩევა ლ.—ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

28. შარიქაძე ა.—ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

29. გურგენიძე ი.—ბოლნისის რაიონის კაზრეთის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

30. გოგოლაძე ზაურ გიორგის ძე—ბორჯომის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი,

31. ხარისჭირაშვილი ქეთევან პეტრეს ასული—საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

32. მოსიძე აკაკი ივანეს ძე—ბორჯომის რაიონის ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის დირექტორი,

33. ხუციშვილი მარლენ ლევანის ძე—ბორჯომის რაიონის წაღვერის საშუალო სკოლის დირექტორი,

34. გარიბოვი ზილთიგარ ჰაჯირამიმ ოღლი—გარდაბნის რაიონის ქესალოს საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

35. ორჯონიკიძე პავლე ალექსანდრეს ძე—გარდაბნის რაიონის სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი,

36. პავლოვა ანა მათეს ასული—გარდაბნის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

37. სანიკიძე შოთა იოსების ძე—გარდაბნის რაიონის დილმის საცდელი საბჭოთა მეურნეობის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

38. კვარაცხელია შალვა ძუკუს ძე—ზუგდიდის რაიონის ერგეტის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

39. ფანთია კონსტანტინე რომანოზის ძე—ზუგდიდის რაიონის ანაკლიის მერძევეობა-მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი,

40. ფიფია ნათელა ნიკოლოზის ასული—საქართველოს ალკკ ზუგდიდის რაიკომის მდივანი,

41. მანია ვლადიმერ სპირიდონის ძე—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე,

42. ტოკლიკიშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე—მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე,

43. უბირია ალექსანდრე ევგენის ძე—მეტალურგიული ქარხნის საგლინავი საამქროს უფროსი,

44. რისნაძე სევერიან ისიდორეს ძე—ა/კ მეტალურგმშენის ლენინის ორდენოსანი № 1 ტრესტის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე,

45. ჩაჩანიძე ვიქტორ ვასილის ძე—რუსთავის № 3 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

46. ავეტისიანი გალინა ალექსანდრეს ასული—რუსთავის № 4 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

47. სიჭინავა ელიზავეტა მიხეილის ასული—რუსთავის № 1 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

48. ბრეგვაძე შოთა გიორგის ძე—რუსთავის № 5 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

49. შალამბერიძე დუშიკო ედვარდის ძე—მაიაკოვსკის დასწრებულ-დაუსწრებელი საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

50. კუჭუაშვილი ნანა ალექსის ასული—საქართველოს ალკკ საგარეჯოს რაიკომის მდივანი,

51. ტოპეშაშვილი პავლე ივანეს ძე—საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი,

52. ხუჯაძე ნოდარ ნიკოლოზის ძე—თერჯოლის რაიონის აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის დირექტორი,

53. მაკარიძე ლევან კალენიკეს ძე—თერჯოლის რაიონის აჯამეთის მექანიკური ქარხნის დირექტორი,

54. კურსკიანი ტატიანა ოვანეზის ასული—თბილისის № 27 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

55. მიშველაძე სვეტლანა იოსების ასული—№ 27 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

56. ესაძე თინა გიორგის ასული—თბილისის № 4 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

57. ჩიგოგიძე სოლომონ ნოეს ძე—თბილისის № 19 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

58. სოზიაშვილი გიული ირაკლის ასული—კასპის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

59. აზატიანი ამალია ვართანის ასული—ბათუმის რესპუბლიკური დაუსწრებელი მეზღვაურთა საშუალო სკოლის მასწავლებელი,



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

60. ცომაია კარლო მიტროფანეს ძე—ბათუმის რესპუბლიკური დაუსწრებელი მეზღვაურთა საშუალო სკოლის მასწავლებელი,

61. გავრილენკო ლიუდმილა ნიკოლოზის ასული—ბათუმის რესპუბლიკური დაუსწრებელი მეზღვაურთა საშუალო სკოლის მასწავლებელი,

62. მაღრაძე გულიკო მიხეილის ასული—თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

63. ენუქიძე ნორა ალექსის ასული—თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

### საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელებით:

1. მაისაია მადონა ივანეს ასული—ს. მ. კიროვის სახ. საფ-კერვალო საწარმოო გაერთიანების ქუთაისის ფაბრიკის პარტბიუროს მდივნის მოადგილე,

3. ყანჩაველი რამაზ ბიძინას ძე—ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ალკკ კომიტეტის მდივანი,

4. მახარაძე ნოდარ ალექსის ძე—ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ალკკ კომიტეტის მდივანი,

5. ტულუში ნათელა კონსტანტინეს ასული—ქუთაისის ლითოფონის ქარხნის ალკკ კომიტეტის მდივანი,

6. დემურიშვილი მ.—საქართველოს ალკკ ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი,

7. დალაქიშვილი მ.—ბოლნისის რაიონის კაზრეთის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

8. ბერძენაძე ბ.—ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

9. ქელიძე გ.—ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

10. ნიეკი პ.—ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე,

11. ჯიკაევი იზოლდა შალვას ასული—ბორჯომის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

12. ჭეიშვილი ვახტანგ კუკურის ძე—მეტალურგიული ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი,

13. კოპალაძე ალექსანდრე გრიგოლის ძე—ა/კ მეტალურგმშენის ლენინის ორდენოსანი № 1 ტრესტის ალკკ კომიტეტის მდივანი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

14. ჯოლია კონსტანტინე ამბროსის ძე—რუსთავის № 2 საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

15. ჭყონია ნანული ალექსანდრეს ასული—ლანჩხუთის რაიონული დაუსწრებელი სკოლის ნიგვზიანის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

16. იმნაძე ვასილ დიმიტრის ძე—ლანჩხუთის რაიონის ნიგვზიანის მ. კალინინის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

17. მესხი ლიზა ნიკოლოზის ასული—საქართველოს ალკკ მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი,

18. ჭელიძე მაგული ლევანის ასული—მაიაკოვსკის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ალკკ პირველადი ორგანიზაციის მდივანი,

29. გუჯაბიძე რომან ისაკის ძე—ლანჩხუთის რაიონის ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი,

20. გოგიბერიშვილი ნათელა გედეონის ასული—თბილისის № 6 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

21. ნადარეიშვილი შალვა—თბილისის № 4 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

22. კობიძე ნინო—თბილისის № 4 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

23. თუშიშვილი ვენერა—თბილისის № 19 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

24. ღუდუშაური მერი—თბილისის № 19 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

25. კუპრავა ლიდა—თბილისის № 19 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

26. დალაქიშვილი გიორგი ივანეს ძე—საქართველოს ალკკ კასპის რაიკომის მეორე მდივანი.

## V. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით:

1. მალაზონია სერგო გიორგის ძე—ბათუმის საღამოს 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი,

2. აბულაძე ლევან შახზადის ძე—ბათუმის საოლქო დაუსწ-რებელი საშუალო სკოლის მეთოდისტი,

3 მაღლაკელიძე ნოე ლევანტის ძე—ქუთაისის № 5 [illegible] საშუალო სკოლის დირექტორი,

4. ჭეიშვილი ეკატერინე ესაიას ასული—ქუთაისის № 3 საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

5. ჟუნგიაძე მ.—ბოლნისის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

6. გაგუა ა.—ბოლნისის რაიონის კაზრეთის სკოლის დირექტორი,

7. გურგენიძე ვ.—ბოლნისის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი,

8. მაისკაია ირინე ერემიას ასული—ბორჯომის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

9. სტეფნაძე ნაყვალა ბაგრატის ასული—ბორჯომის საღამოს საშუალო სკოლის მასწავლებელი,

10. გოგუა გიორგი ნიკოლოზის ძე—ლანჩხუთის რაიონული დაუსწრებელი სკოლის ყოფილი დირექტორი,

11. გუჯაბიძე რომან ისაკის ძე—ლანჩხუთის რაიონის ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი,

12. კუპრაძე თამარ გიორგის ასული—ლანჩხუთის რაიონის სუფსის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე,

13. ენდელაძე გივი მინას ძე—მაიაკოვსკის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი,

14. ხიდურელი ელენე ალექსის ასული—თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის საშუალო სკოლის დირექტორი,

15. სევასტოვი გიორგი ივანეს ძე—თეთრიწყაროს რუსული სკოლის დირექტორი,

16, პარკაძე თენგიზ გიორგის ძე—კასპის რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორი,

17. ხმელევსკი ედუარდ ევგენის ძე—განათლების სამინისტროს საღამოს სკოლების სამმართველოს ინსპექტორი,

18. აფხაიძე სიმონ იუსტინეს ძე—თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მეთოდისტი,

19. გაბედავა ნიკოლოზ მელქისედეკის ძე—თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მეთოდისტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. ჯოჯუა ვალერიან ივანეს ძე—თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მეთოდისტი,

21. ცირეკიძე ალექსანდრე გიორგის ძე—თბილისის რესპუბლიკური დაუსწრებელი საშუალო სკოლის მეთოდისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 3. დათვალიერებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის წარდგენილ იქნან საკავშირო ჯილდოზე:

#### 1. საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს დიპლომზე:

1. ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლა,
2. ლანჩხუთის რაიონის ღრმაღელის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა,
3. ლანჩხუთის რაიონული დაუსწრებელი სკოლა,
4. ლანჩხუთის რაიონული დაუსწრებელი სკოლის სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტი,
5. კასპის ცემენტის ქარხანა,
6. თბილისის ელმავალმშენებელი ქარხანა.

#### 2. სსრ კავშირის განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელზე:

1. ქანთარია მერი სიმონის ასული—ს. მ. კიროვის სახ. სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ქუთაისის ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი,
2. ხარებავა ვახტანგ ივანეს ძე—ს. ორჯონიკიძის სახ. ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორი.
3. ხეცურიანი ჭ.—საქართველოს ალკკ ბოლნისის რაიკომის მდივანი,
4. ვალიევი ვ.—განათლების მუშაკთა პროფკავშირის ბოლნისის რაიკომის თავმჯდომარე,
5. წიქარიშვილი გ.—ბოლნისის საკონსერვო ქარხნის დირექტორი,
6. ფრუიძე ჯ.—სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი,

7. ლაზარეიშვილი ლ.—ბოლნისის რაიონის ბალიჭის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი,

8. გუგუნავა თეიმურაზ ალექსანდრეს ძე—საქართველ[illegible] ლანჩხუთის რაიკომის ყოფილი მდივანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ვასაძე ნათელა ფელიქსის ასული—ლანჩხუთის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მასწავლებელი,

10. ქინქლაძე დარეჯან ემელიანეს ასული—ლანჩხუთის დაუსწრებელი საშუალო სკოლის მასწავლებელი,

11. გოგიჩაიშვილი დალი ვლადიმერის ასული—ლანჩხუთის დაუსწრებელი საშუალო სკოლის სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მასწავლებელი,

12. მურვანიძე ზინა დანიელის ასული—ლანჩხუთის დაუსწრებელი სკოლის სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მასწავლებელი,

13. არჩვაძე რაჟდენ არტემის ძე—თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე,

14. ბედიაშვილი ივანე სპირიდონის ძე—საგარეჯოს № 1 საშუალო სკოლის დირექტორი,

15. მგელაძე ვლადიმერ ისაკის ძე—კასპის ცემენტის ქარხნის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე,

16. ნავროზაშვილი ზეინაბ დიმიტრის ასული—განათლების მუშაკთა პროფკავშირის კასპის რაიკომის თავმჯდომარე,

17. გიორგაძე დავით ამბაკოს ძე—განათლების სამინისტროს საღამოს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე.

## 3. სსრ კავშირის განათლების სამინისტროს „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით:

1. ბოჭორიშვილი სონია არჩილის ასული—აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს საღამოს სკოლების ინსპექტორი,

2. ლაპარტყავა ამირან გიგოს ძე—ბათუმის საოლქო დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი,

3. ლეფსვერიძე შალვა ვასილის ძე—ახმეტის რაიონული დაუსწრებელი საშუალო სკოლის დირექტორი,

4. სტეფნაძე აკაკი ლევანის ძე—ბორჯომის საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი,

5. გოგუაძე ალექსი შალვას ძე — ლანჩხუთის რაიონული დაუსწრებელი სკოლის სუფსის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის გამგე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. ნაჭყებია შოთა ძიკის ძე—ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი,

7. ვადაჭკორია თენგიზ შალვას ძე—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე,

8. შაქარაშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე—კასპის რაიონის განათლების განყოფილების უფროსი ინსპექტორი.

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე | საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ განათლების მინისტრი |
| თ. მოსაშვილი | ჟ. შარტავა | თ. ლაშქარაშვილი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი


1. ბრძანება № 126—ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შესახებ . . . . . . 3
2. ბრძანება № 132—„შრომის დიდების" ორდენისა და „შრომის ვეტერანის" მედლის დაარსებასთან დაკავშირებით სახალხო განათლების ორგანოების ამოცანების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . 16
3. ბრძანება № 238—მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს ლილოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ . . . . 20
4. ბრძანება № 240—ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შენობათა და ეზო-კარმიდამოების კეთილმოწყობის შესახებ . . . . . . . . . . . 23
5. ბრძანება № 241—ქალაქების—თბილისის, რუსთავისა და საგარეჯოს რაიონის ზოგიერთ სკოლაში ლიტერატურის, სახვითი ხელოვნებისა და სიმღერა-მუსიკის სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების შესახებ . . 28
6. Приказ № 248—Об утверждении отчета по республиканскому бюджету Министерства просвещения Грузинской ССР за 1973 г. 35
7. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის შედეგების შესახებ . . . . . . . . . 37
8. დადგენილება—რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ახალგაზრდობაში მასობრივი მოძრაობის, დევიზით—„ყოველ ახალგაზრდა მშრომელს საშუალო განათლება", 1973 წლის შედეგების შესახებ . , . . . . . . 42
9. შინაარსი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 54

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. ქურციკიძე
ტექ. რედაქტორი ეკ. ნეშუმაშვილი

**ფასი 10 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/V!!-74 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5,
ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 3,5.

შეკვ. № 644 უე—05705 ტირაჟი 5.000.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სტამბა № 11,
უშ. ჩხეიძის ქ. № 19

Типография № 11 Государственного Комитета
по делам издательств, полиграфии и книжной торговли Совета
Министров Грузинской ССР, ул. Уш. Чхеидзе № 19